სანოტარო აქტი
საქართველო

*ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდაშვიდ სექტემბერს*, მე, ნოტარიუს დავით იმნაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: *ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. №49,* მომმართა: **შ.პ.ს. „აპოლო გ.ს.“-ს** *(საიდენტიფიკაციო № 202430468)* **დირექტორმა გიორგი ჯანიბეგაშვილმა** და მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამ. მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **გიორგი ჯანიბეგაშვილმა** მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა **გიორგი ჯანიბეგაშვილმა** და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მინდობილობა

<u>„მინდობილობის გამცემი“:</u>

– შ.პ.ს. „აპოლო გ.ს.“ *(საიდენტიფიკაციო № 202430468)*, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ჯანიბეგაშვილი *(დაბ. 07.05.1985 წ. თბილისში, პ№ 01031003746, მის: თბილისი, ნოე ჩხიკვაძის ქუჩა, N 5) მიერ,*

<u>„მინდობილობის მიმღებ“-ს:</u>

– ვლადიმერ აბრამიშვილს *(დაბ. 14.09.1981 წ. თბილისში, პ.№ 01011025815, მის. თბილისი, ძევერას ქუჩა, N 20),*

<u>*ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:*</u>

- *წარმოადგინოს “მინდობილობის გამცემის” ინტერესები პროექტ “სამეფო ბაღებთან” დაკავშირებით, აგრეთვე უძრავ ქონებასთან საკადასტრო კოდით: **01.18.04.018.067** დაკავშირებით ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ნებისმიერი მუნიციპალიტეტის მერიასა, აგრეთვე ქ. თბილისის მერიაში და მისდამი დაქვემდებარებულ ყველა სტრუქტურაში, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, აწარმოოს აღნიშნულ უძრავ ქონებაზე მშენებლობასთან დაკავშირებული საქმეები, შეათანხმოს და აიღოს პროექტები, ნებართვები, მოახდინოს პროექტის კორექტირება/ცვლილება, აწარმოოს მოლაპარაკებები, დააზუსტოს ფართი, აწარმოოს აზომვითი სამუშაოები, მიიღოს, ჩააბაროს და წარადგინოს სათანადო დოკუმენტები, გადაიხადოს გადასახდელები, ხელი მოაწეროს “მინდობილობის გამცემის” სახელით და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.*
- მინდობილობა გაცემულია 2025 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით.

• წინამდებარე მინდობილობა ძალაში შედის ხელმოწერისა და მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია *ქართულ ენაზე* სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის **დავით იმნაძის** სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა **„მინდობილობის გამცემს“**.

სანოტარო მომსახურეობის საზღაური **30,00** /ოცდაათი/ ლარი, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა. აგრეთვე დღგ: (5,40) ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 166-ე მუხლისა.* პლიუს: 5.00 (ხუთი) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა. სულ (40,40) ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი.*

*„მინდობილობის გამცემი“*

შ.პ.ს. „აპოლო გ.ს.“ *(საიდენტიფიკაციო № 202430468)*,
დირექტორი გიორგი ჯანიბეგაშვილი

ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

16537863793024

**საქართველო**



სანოტარო მოქმედების დასახელება

# იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N241303224**

რეგისტრაციის თარიღი

**27.09.2024 წ**

ნოტარიუსი: დავით იმნაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასალის ქ. 49
ტელეფონი: +995 032 2477879

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18